

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030411849935815

04-20/ო


26 / იანვარი / 2015 წ.

„სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 19 ნოემბრის 04-354/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 19 ნოემბრის №04-354/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება – ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროაქტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს, თ. მოდებამეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ 



გაიოზ თალაკვაძე